

„ახალგაზრდები მშვიდობისათვის სამხრეთ კავკასიაში“

საქართველოს საპატრიარქოს საქველმოქმედო ფონდი „ლაზარე“, საქართველოს საპატრიარქოსა და შვეიცარიული ორგანიზაცია HEKS-EPER-ის მხარდაჭერით, 2007 წლიდან ახორციელებს პროექტს - „ახალგაზრდები მშვიდობისათვის სამხრეთ კავკასიაში“, რომელსაც ანალოგი არ აქვს, როგორც საქართველოში, ისე მთელს რეგიონში. მისი მთავარი მიზანია ხელი შეუწყოს კავკასიაში მდგრადი მშვიდობის მშენებლობას – ახალგაზრდებში ტოლერანტობის და სამშვიდობო სულისკვეთების გაღვივების საშუალებით.

აღნიშნულ პროექტში მონაწილეობს ოთხი მხარე: საქველმოქმედო ფონდი „ლაზარე“, საქართველოს აზერბაიჯანელ ქალთა კავშირი, სომხური არასამთავრობო ორგანიზაცია „სიუნიკი“ და მშვიდობისა და სამოქალაქო განვითარების ცენტრი (აფხაზური მხარე).

ახალგაზრდული გაცვლითი პროგრამა ორ ეტაპად იმართება: საქართველოსა და სომხეთში. პროექტი წლის განმავლობაში დატვირთულია სხვადასხვა ღონისძიებებით (საზაფხულო ბანაკი, ლიდერების ტრენინგები ლიდერობასა და კონფლიქტების ტრანსფორმაციაში, მცირე გრანტები, სესიები კონფლიქტის ტრანსფორმაციაში, მასწავლებლების სამუშაო შეხვედრები, ფლემ-მობი, სემინარ–დისკუსიები უმაღლეს სასწავლებლებში, შეხვედრები საჯარო სკოლის მოსწავლეებთან სამშვიდობო თემატიკაზე).

პროექტის ცენტრალური აქტივობაა ახალგაზრდული გაცვლითი პროგრამა (საზაფხულო ბანაკი), სადაც 16-დან 18 წლამდე ასაკის ქართველი, აფხაზი, აზერბაიჯანელი და სომეხი ახალგაზრდა მონაწილეობს (სულ 60 ახალგაზრდა). მოზარდები პირისპირ ხვდებიან და ეცნობიან ერთმანეთს; მნიშვნელოვანია, რომ ისინი სწავლობენ კონფლიქტისა და სტერეოტიპების გადალახვის გზებს, ჩართულნი არიან არაფორმალური განათლების თამაშებში, თავად აწყობენ კულტურულ ღონისძიებებს; ბანაკის დასრულების შემდეგ კი ახალგაზრდები არ წყვეტენ ერთმანეთთან კავშირს, აგრძელებენ ურთიერთობას სოციალური ქსელების საშუალებით, მეგობრობენ და გულშემატკივრობენ ერთმანეთს.

აღსანიშნავია მისი უწმინდესობის განსაკუთრებული მზრუნველობა პროექტის მიმართ, რადგან ფონდი წლების მანძილზე სამშვიდობო პროექტებს დაქირავებულ შენობაში ახორციელებდა, პატრიარქის გადაწყვეტილებით 2018 წელს საქართველოს საპატრიარქოს საკუთრებაში არსებული ბობოყვათის რეზიდენცია თხოვების ფორმით,

გადაეცა საქველმოქმედო ფონდ „ლაზარეს“ სამშვიდობო და ახალგაზრდული პროექტების განსახორციელებლად. ეს უნიკალური ადგილი და გარემო იძლევა აქტიური დასვენების საშუალებას, რაც ხელს უწყობს ახალგაზრდული პროექტების ნაყოფიერ შესრულებას და დაუვიწყარია მონაწილეებისთვის.

პროექტი - „ახალგაზრდები მშვიდობისათვის სამხრეთ კავკასიაში“- სახელმწიფოებრივი მნიშვნელობისაა, - მასში მონაწილე ახალგაზრდები მომავალში სხვადასხვა პროფესიებს დაეუფლებიან, მათ შორის იქნებიან საჯარო მოხელეები, პოლიტიკოსები, ჟურნალისტები, ექიმები, სასულიერო პირები, პედაგოგები და ა.შ. გვჯერა, რომ ბანაკში ყოფნისას ჩამოყალიბებული მეგობრული ურთიერთობები, განსხვავებული ეთნიკური ჯგუფების თანაცხოვრების მიმართულებით, ხელს შეუწყობს სამხრეთ კავკასიაში არსებული კონფლიქტების მშვიდობიან გადაჭრას, ძალისმიერი მეთოდების უგულვებელყოფას და შექმნის დაპირისპირებულ მხარეებს შორის დიალოგის დაწყების სულისკვეთებას.